საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომის

ოქმი N 8

ქ. თბილისი

24 ოქტომბერი, 2018 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ: ნადარაია ელიზბარ, შენგელაია ალექსანდრე, შალიკაშვილი მორის, ანანიაშვილი იური, იოსებ სალუქვაძე, ხუციშვილი ქეთევან, ოკრიბელაშვილი ნინო, ლომინაძე გიორგი, ჭელიძე თამაზ, პაპავა გივი, ბერულავა გიორგი, ებრალიძე თამარ.

დღის წესრიგი:

1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების ცვლილების პროექტის განხილვა;
2. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ეკონომიკა" დოქტორანტ **გიორგი დანელიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **თინათინ ჟორჟოლიანის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
4. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **გურგენ კალაშიანის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **იოსებ მამუკელაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
6. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მათემატიკა" დოქტორანტ **ალექსანდრე სბორშჩიკოვის** სადისერტაციო ნაშრომის „ზოგიერთი სეისმური პროცესის ალბათურ-სტატისტიკური მოდელირება" შემფასებლების დამტკიცების შესახებ;
7. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფიზიკა" დოქტორანტ **თამარ ნოზაძის** დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და ფიზიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
8. იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „სამართლის" დოქტორანტ **გიორგი ამირანაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;
9. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ისტორია" დოქტორანტ **მაია ცერცვაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის

(შეფასების) დამტკიცებისა და ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა;

10. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „რუსეთისმცოდნეობა“ დოქტორანტ **მამუკა მჭედლიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნის (შეფასების) დამტკიცებისა და რუსეთისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების საკითხის განხილვა.

11. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „მასობრივი კომუნიკაციის“ დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **თინათინი მაჭარაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის და დაცვის თარიღის დამტკიცების შესახებ.

12. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ეკონომიკის“ დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **გიორგი ბრეგაძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

13.ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **შორენა ტიელიძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

14.ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **რევაზ გერაძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ.

15.ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **მაია გიორბელიძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლების დამტკიცების შესახებ

16.იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის“ დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **ნინო ხარიტონაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს წევრებს განსახილველად წარუდგინა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების ცვლილების პროექტი.

აზრი გამოთქვა: ალ. შენგელაიამ და ნინო ოკრიბელაშვილმა აღნიშნეს, რომ სასურველია სიღრმისეულად გაეცნონ წარმოდგენილ პროექტს და ორშაბათამდე საბჭოს ყველა წევრმა წარმოადგინოს წინადადებები.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების ცვლილების პროექტი და საბჭოს წევრების წინადადებები განიხილონ მომდევნო სხდომაზე.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „ეკონომიკა“ დოქტორანტ **გიორგი დანელიას** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

აზრი გამოთქვა: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორმა, ელგუჯა მექვაბიშვილმა აღნიშნა, რომ მას არ მოსწონს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულება და იყო საბჭოს შექმნის წინააღმდეგი.

აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა განმარტა, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარემ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულების მიხედვით ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებაზე უნდა ისაუბროს.

მოისმინეს: ე. მექვაბიშვილმა ისაუბრა დისერტაციის - ,,მთავრობისა და სავალუტო ბაზრის მონაწილეების სტრატეგიული ურთიერთდამოკიდებულება საერთაშორისო სავალუტო კრიზისის პირობებში" - სამეცნიერო ღირებულების შესახებ. აღნიშნა, რომ ნაშრომი მრავალმხრივი და კომპლექსურია; სადისერტაციო ნაშრომში სავალუტო კრიზისის ძირითადი მახასიათებლების, მათი შესაძლო გამომწვევი მიზეზების და კრიზისის ანალიზის რამდენიმე ალტერნატივის შედარების საფუძველზე მიღებულ მეცნიერულ სიახლეებს წარმოადგენს: სავალუტო კრიზისის და ზოგადად, სავალუტო ბაზრის მონაწილეების ქცევის შესწავლა და ანალიზი ბიჰევიორიზმისა და თამაშთა თეორიის ერთიანი სიბრტყის თვალსაზრისით; ბაზრის მონაწილეების ქცევის განსაზღვრა უპირატესად მათი პოტენციური საფრთხეების მიმართ დამოკიდებულების მიხედვით, ანუ მათი რისკის აღქმიდან გამომდინარე; ბაზრის მონაწილეების გარკვეული ქცევითი მიდრეკილებების ანალიზის გათვალისწინებით გაკეთებულია დასკვნა, რომ შესაძლებელია მთავრობის მხრიდან ერთი კონკრეტული რისკის ზრდის ხელშეწყობამ უზრუნველყოს სხვა უფრო მასშტაბური რისკების შემცირება გრძელვადიან პერიოდში; ბაზრის მონაწილეების ქცევის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორის - მთავრობის როლი სავალუტო ბაზრის ფორმირებაში, გახსნილია მისი და ბაზრის სხვა მონაწილეების ურთიერთდამოკიდებულება და მათ შორის არსებული ან პოტენციური კოორდინაციული თამაში; სავალუტო ბაზრის მონაწილეების ქცევის ანალიზის დროს გამოყენებულია სხვადასხვა ფსიქოლოგიური მიდრეკილება, მათი ძირითადი მახასიათებლები და ამგვარი ქცევის მოტივატორები. კერძოდ, ხელმისაწვდომობის ევრისტიკა, ზედმეტი თვითდაჯერებულობა, კონტროლის ილუზია და სხვა; საქართველოს სავალუტო ბაზრის მდგომარეობის ტრადიციული, ფუნდამენტური თეორიების მიხედვით შეფასების საფუძველზე შემოთავაზებულია ბიჰევიორისტული ანალიზის და სხვადასხვა ფსიქოლოგიური ტენდენციებით კრიზისის გააზრების შედარებით ახალი მიდგომა. სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებულ კვლევას გააჩნია, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა.

აზრი გამოთქვა: მორის შალიკაშვილმა დასვა კითხვა, სადისერტაციო ნაშრომის კომისიის თავმჯდომარის ან მდივნისათვის ხომ არ არის ცნობილი ინფორმაცია დისერტაციის პლაგიატთან და მონაცემების გაყალბებასთან დაკავშირებით?

მოისმინეს: ე. მექვაბიშვილმა აღნიშნა, რომ დაცვის კომისიის მიერ ნაშრომი პლაგიტზე არ გადამოწმებულა, თუმცა რეცენზენტებისა და ხელმძღვანელისგან პლაგიატის არსებობის თაობაზე ინფორმაცია არ წარდგენილა.

აზრი გამოთქვა: ქ. ხუციშვილმა დასვა კითხვა დისერტაციის დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ.

მოისმინეს: ე. მექვაბიშვილმა აღნიშნა, რომ დაცვის პროცედურა არ დარღვეულა და დოქტორანტის ნაშრომი 85 ქულით შეფასდა.

აზრი გამოთქვა: ელიზბარ ნადარაიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველია, თუ დისერტაციის თემის შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომები მითითებული იქნებოდა სადისერტაციო ნაშრომში.

მოისმინეს: ე. მექვაბიშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტი ვალდებულია გამოქვეყნებული შრომების სია წარმოადგინოს ავტორეფერატში და დისერტაციაში მითითება არ წარმოადგენს ვალდებულებას.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (12 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **გიორგი დანელიასათვის** ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **თინათინ ჟორჟოლიანის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოც. პროფესორ უშანგი სამადაშვილის ინფორმაცია დისერტაციის - ,,საინვესტიციო გარემოს ზეგავლენა სამშენებლო ბიზნესის განვითარებაზე (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე)" - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის შედეგები და სიახლეები. ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობის თაობაზე აღნიშნა, რომ კვლევაში ჩამოყალიბებული რეგრესიული მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ინდიკატორი, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენად გაიზრდება ან შემცირდება სამშენებლო სექტორში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება. კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს სამშენებლო ინდუსტრიას, რათა შეფასდეს სამშენებლო სექტორის, როგორც ეროვნული ეკონომიკის ძლიერი მოტივატორის შესაძლებლობები. ნაშრომში ჩამოყალიბებული თეორიული დასკვნების და რეკომენდაციების პრაქტიკული განხორციელება ხელს შეუწყობს ადგილობრივი ფირმების პროდუქტიულობის გაუმჯობესებას, რეგიონული საინვესტიციო პროცესების ფორმირების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტების სრულყოფას, რაც ბიზნესის წარმატებული განვითარების და რეგიონის, ეკონომიკური კეთილდღეობის წინაპირობაა. ნაშრომი შეფასდა 97 ქულით.

აზრი გამოთქვა: ელიზბარ ნადარაიამ კვლავ გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველია, თუ დისერტაციის თემის შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომები მითითებული იქნებოდა სადისერტაციო ნაშრომში; რას ნიშნავს „მასპინძელი ქვეყანა"?

მოისმინეს: ხ. ბერიშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტი ვალდებულია გამოქვეყნებული შრომების სია წარმოადგინოს ავტორეფერატში და დისერტაციაში მითითება არ წარმოადგენს ვალდებულებას. „მასპინძელი ქვეყანა" ნიშნავს მიმღებ ქვეყანას და დარგობრივ ტერმინს წარმოადგენს.

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა იკითხა, არის თუ არა დოქტორანტის მიერ რეკომენდაციები შემუშავებული სამართლებრივი კუთხით?

მოისმინეს: უ. სამადაშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტს საკვლევ საკითხთან მიმართებაში არსებული მოქმედი კანონმდებლობა შესწავლილი აქვს და შესაბამის რეკომენდაციებსაც გვთავაზობს.

აზრი გამოთქვა: მორის შალიკაშვილმა დასვა კითხვა, სადისერტაციო ნაშრომის კომისიის თავმჯდომარის ან მდივნისათვის ხომ არ არის ცნობილი ინფორმაცია დისერტაციის პლაგიატთან და მონაცემების გაყალბებასთან დაკავშირებით?

მოისმინეს: უ. სამადაშვილმა აღნიშნა, რომ დაცვის კომისიის მიერ ნაშრომი პლაგიტზე არ გადამოწმებულა, თუმცა რეცენზენტებისა და ხელმძღვანელისგან პლაგიატის არსებობის თაობაზე ინფორმაცია არ წარდგენილა.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ

არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (12 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თინათინ ჟორჟოლიანისათვის** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ **გურგენ კალაშიანის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ემერიტუს პროფესორ ელენე ხარაბაძის ინფორმაცია დისერტაციის - ,,საწარმოთა გაერთიანების აღრიცხვის სრულყოფის საკითხები საქართველოს მაგალითზე" - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის შედეგები და სიახლეები, კერძოდ: კვლევის შედეგად დეტალურად შესწავლილ იქნა საქართველოში საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის კუთხით არსებული მდგომარეობა, განხორციელდა პრობლემური საკითხების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. საწარმოთა გაერთიანებების პროცესის აღრიცხვა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა ხასიათდება სპეციფიურობით, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ მეცნიერების და პრაქტიკოსების მიერ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ამ მიმართულებით კვლევას. ნაშრომში მოცემულია რეკომენდაციები საწარმოთა გაერთიანებების აღრიცხვის მარეგულირებელი სტანდარტის – ფასს 3 "საწარმოთა გაერთიანების" პრობლემური და ორაზროვანი დებულებების სრულყოფასთან დაკავშირებით. ნაშრომი შეფასდა 90 ქულით. დოქტორანტი თავისუფლად ფლობს ინგლისურ ენას და სამეცნიერო ნაშრომები აქვს გამოქვეყნებული მაღალრეიტინგულ უცხოენოვან ჟურნალებში.

აზრი გამოთქვა: მორის შალიკაშვილმა დასვა კითხვა, სადისერტაციო ნაშრომის კომისიის თავმჯდომარის ან მდივნისათვის ხომ არ არის ცნობილი ინფორმაცია დისერტაციის პლაგიატთან და მონაცემების გაყალბებასთან დაკავშირებით?

მოისმინეს: ე. ხარაბაძემ აღნიშნა, რომ დაცვის კომისიის მიერ ნაშრომი პლაგიატზე არ გადამოწმებულა, თუმცა რეცენზენტებისა და ხელმძღვანელისგან პლაგიატის არსებობის თაობაზე ინფორმაცია არ წარდგენილა.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (12 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **გურგენ კალაშიანისათვის** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება" დოქტორანტ

იოსებ მამუკელაშვილის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოც. პროფესორ მერაბ ჯიქიას ინფორმაცია დისერტაციის - „საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის ანალიზის მეთოდოლოგია და რეგულირების კონცეპტუალური პრობლემები საქართველოს სააქციო საზოგადოებების მაგალითზე" - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ დოქტორანტი წარმატებით მუშაობდა კათედრაზე. სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს კვლევის პროცესში მიღებული თანდართული შედეგები: საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის გასაანალიზებლად შემუშავებულია ავტორისეული გაანგარიშების მეთოდოლოგია, რისი ანალიზიც მოცემულია რამოდენიმე წლის ჭრილში; სააქციო საზოგადოებების საკუთარი კაპიტალის ფორმირების პროცესის გასაუმჯობესებლად შემუშავებულია ავტორისეული ფორმულა ფინანსური ანგარიშგების კოეფიციენტების საფუძველზე; მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები სააქციო საზოგადოებებისთვის, რომელთაც სურთ საკუთარი კაპიტალის რესტრუქტურიზაციით მოახდინონ ფინანსირება; ქვეყნებშორისი სტატისტიკური ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებულია კონკრეტული არგუმენტები, თუ როგორ შეიძლება ქვეყნის ინსტიტუციური რეფორმა სააქციო საზოგადოებების საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის გასაუმჯობესებლად. სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ კვლევაში გამოყენებული მიდგომები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს, როგორც სააქციო საზოგადოებების მმართველებისა და აქციონერების დონეზე, აგრეთვე კვლევის შედეგები შესაძლოა გამოვიყენოთ ქვეყანაში სააქციო საზოგადოებების ზოგადი ფინანსური მმართველობითი პოლიტიკის განსაზღვრისათვის.

აზრი გამოთქვა: მორის შალიკაშვილმა დასვა კითხვა, თუ რა მნიშვნელობის იყო თემა საქართველოსთვის?

მოისმინეს: მ. ჯიქიამ განმარტა ტერმინის მნიშვნელობა და ისაუბრა თემის აქტუალობაზე, კერძოდ, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სააქციო საზოგადოებების განვითარებაში კაპიტალის სტრუქტურის ადეკვატურობის მნიშვნელობაზე. კერძოდ, სააქციო საზოგადოებებს უნდა შეეძლოთ, როგორც საკუთარი კაპიტალის გაზრდით, ასევე, მოზიდული კაპიტალით საწარმოების ფინანსირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სააქციო საზოგადოებები ვერ მიაღწევენ განვითარების იმ დონეს, რაც აუცილებელია ქვეყანაში დოვლათის შესაქმნელად. ზემოაღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, რადგან გეგმიანი ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას აუცილებელია კერძო სექტორმა პასუხი გასცეს სააქციო საზოგადოების ძირითად გამოწვევებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოებების მდგრადი განვითარება.

აზრი გამოთქვა: მორის შალიკაშვილმა დასვა კითხვა, სადისერტაციო ნაშრომის კომისიის თავმჯდომარის ან მდივნისათვის ხომ არ არის ცნობილი ინფორმაცია დისერტაციის პლაგიატთან და მონაცემების გაყალბებასთან დაკავშირებით?

მოისმინეს: მ. ჯიქიამ აღნიშნა, რომ დაცვის კომისიის მიერ ნაშრომი პლაგიატზე არ გადამოწმებულა, თუმცა რეცენზენტებისა და ხელმძღვანელისგან პლაგიატის არსებობის თაობაზე ინფორმაცია არ წარდგენილა.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (12 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **იოსებ მამუკელაშვილისათვის** ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მათემატიკა" დოქტორანტ **ალექსანდრე სბორშჩიკოვის** სადისერტაციო ნაშრომის - „ზოგიერთი სეისმური პროცესის ალბათურ-სტატისტიკური მოდელირება" - შემფასებლები.
აზრი გამოთქვა: დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა, ელიზბარ ნადარაიამ ისაუბრა შემფასებლების კომპეტენციაზე.
აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.
დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „მათემატიკა" დოქტორანტ **ალექსანდრე სბორშჩიკოვის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებად დამტკიცდნენ:
კვარაცხელია ვახტანგ (სტუ, ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის პროფესორი);
ბაბილუა პეტრე (თსუ, ასისტენტ-პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი).

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ფიზიკა" დოქტორანტ **თამარ ნოზაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ფიზიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.
მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ არჩილ უგულავას ინფორმაცია დისერტაციის - „საკომუნიკაციო სიხშირეების გამოსხივების ზეგავლენის შესწავლა ადამიანზე სხვადასხვა ფიზიკურ პირობებში" - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ დოქტორანტის მიერ შემუშავდა რეკომენდაციები მობილური კავშირით გამოწვეული საფრთხეების თავიდან ასაცილებლად. ნაჩვენები იქნა, რომ არსებული საერთაშორისო უსაფრთხოების სტანდარტები საჭიროებს გადახედვას. ნაშრომი შეფასდა 94 ქულით.
აზრი გამოთქვა: მორის შალიკაშვილმა დასვა კითხვა, სადისერტაციო ნაშრომის კომისიის თავმჯდომარის ან მდივნისათვის ხომ არ არის ცნობილი ინფორმაცია დისერტაციის პლაგიატთან და მონაცემების გაყალბებასთან დაკავშირებით?
მოისმინეს: ა. უგულავამ აღნიშნა, რომ პლაგიატს ადგილი არ აქვს.
აზრი გამოთქვა: ალ. შენგელაიამ აღნიშნა, რომ ესწრებოდა დისერტაციის დაცვას, შესაბამისად, იცნობს დისერტაციას და აფასებს დადებითად.
აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (12 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **თამარ ნოზაძისათვის** ფიზიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის"დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **გიორგი ამირანაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის , ასოც. პროფესორის ნათია ჩიტაშვილის ინფორმაცია დისერტაციის - „გარიგების ფორმის იძულება, როგორც ფორმის თავისუფლების შეზღუდვა" - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. ნაშრომი ეძღვნება კერძო სამართლისათვის ისეთი მნიშვნელობის მქონე ინსტიტუტს, როგორიცაა გარიგება. კერძოდ კი, იგი ეხება გარიგების ფორმის პრობლემას. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადო ადგილი არ ეთმობა გარიგების ფორმის სიღრმისეულ შესწავლას. მოცემულ თემატიკაზე მონოგრაფიული გამოკვლევა არ არსებობს, ლიტერატურაში იგი განხილულია მხოლოდ ზოგადად, გარიგების მოძღვრების სხვა პრობლემებთან ერთად, ხოლო, ცალკეული პუბლიკაცია პერიოდულ გამოცემებშიც შედარებით იშვიათია. თემის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ სამოქალაქო ბრუნვაში სულ უფრო მეტად იზრდება თანამედროვე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების შემთხვევების რიცხვი, რის გამოც, პრაქტიკაში ბევრი პრობლემური საკითხი იჩენს თავს. ქართულ წყაროებში არ არსებობს სისტემური მიდგომა გარიგების ფორმის პრობლემის შესწავლისადმი, რაც ქართული რეალობისათვის დღის წესრიგში აყენებდა ამ საკითხის მონოგრაფიულ დონეზე გამოკვლევის საჭიროებას. კვლევის ძირითადი მიზანია იმ თეორიული და პრაქტიკული პრობლემების კომპლექსური და შედარებითი ანალიზი, რომლებიც წარმოიშობა კანონით დადგენილი ფორმით გარიგების დადებისას; ასევე, მოცემულ სფეროში კანონმდებლობის სრულყოფისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის კონკრეტული რეკომენდაციების განსაზღვრა. კერძოდ, ნაშრომი მიზნად ისახავს გარიგების ფორმის იძულებასთან დაკავშირებულ კერძოსამართლებრივ მოწესრიგებათა ანალიზის მცდელობას, მათ შორის, სამოსამართლო სამართლის ჭრილში, რასაც არსებული სასამართლო პრაქტიკა კარგ საფუძველს უქმნის. სადისერტაციო კვლევის სამეცნიერო სიახლე განისაზღვრება იმით, რომ მასში, სამოქალაქო კანონმდებლობის რეფორმირების შემდგომ, პირველად განხორციელდება გარიგების ფორმასთან დაკავშირებულ პრობლემათა კომპლექსური ანალიზი. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ ნაშრომი შეფასდა 87 ქულით.

აზრი გამოთქვა: ალ. შენგელაია დაინტერესდა, რამდენი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული დოქტორანტს უცხოურ ჟურნალებში დისერტაციის თემაზე? არსად არაა მითითებული გამოქვეყნებული ნაშრომების ნუსხა, წარმოდგენილია მხოლოდ ცნობა.

მოისმინეს: ფაკულტეტის მიერ განსაზღვრულია ჟურნალების ნუსხა, რომელშიც შესაძლებელია ნაშრომის გამოქვეყნება. დოქტორანტი აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას.

აზრი გამოთქვა: ალ. შენგელაიამ იკითხა, სხვა ჟურნალში რომ გამოაქვეყნოს, როგორ მოქმედებს ფაკულტეტი?

მოისმინეს: აღნიშნულის თაობაზე მსჯელობს ფაკულტეტის საბჭო.

აზრი გამოთქვა: ალ. შენგელაიამ სთხოვა ფაკულტეტის წარმომადგენლებს, რომ შემდეგში აუცილებლად წარმოადგინონ გამოქვეყნებულ ნაშრომთა ნუსხა.

აზრი გამოთქვეს: მ. შალიკაშვილმა და ქ.ხუციშვილმა აღნიშნეს, რომ საკმაოდ კარგად იცნობენ გ. ამირანაშვილს, რომელიც მათი სტუდენტი იყო და მას ახასიათებენ როგორც გამორჩეულ და ნიჭიერ მკვლევარს. ფიქრობენ, რომ ის ნამდვილად იმსახურებს სამართლის აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (12 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **გიორგი ამირანაშვილისათვის** სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „ისტორიის" დოქტორანტ **მაია ცერცვაძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მიხეილ ბახტაძის ინფორმაცია დისერტაციის - „XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი გარემო ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის მიხედვით (ახალი ასპექტები, კვლევა, ანალიზი)" - სამეცნიერო ღირებულებისა და დაცვის პროცედურის მიმდინარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ დოქტორანტმა სრულად და ამომწურავად შეისწავლა ნ. ბარათაშვილის ეპისტოლარული შემოქმედება. დოქტორანტმა განიხილა პოეტის 24 წერილი, დაადგინა წერილების ადრესატების, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელი ბევრი უცნობი პირის ვინაობა. შრომა საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანია. ნაშრომი შეფასდა 100 ქულით.

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა დასვა კითხვა, ნაშრომი მეტწილად ისტორიის სფეროს ეკუთვნის, თუ ფილოლოგიის?

მოისმინეს: მ. ბახტაძემ აღნიშნა, რომ კვლევა ორივე დარგს მოიცავს, შესაბამისად, კომისიაც ორივე სფეროს პროფესორებით შედგა, თუმცა აკადემიური ხარისხი ისტორიაში ენიჭება.

აზრი გამოთქვა: ალ. შენგელაია დაინტერესდა, რამდენი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული დოქტორანტს უცხოურ ჟურნალებში დისერტაციის თემაზე? არის თუ არა მაღალრეიტინგული „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი"? შვიდი ნაშრომიდან ხუთი აღნიშნულ ჟურნალშია გამოქვეყნებული. რამდენი სტატიის გამოქვეყნება ევალება დოქტორანტს ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულებით?

მოისმინეს: თ. შარაბიძემ აღნიშნა, რომ სამი ნაშრომის გამოქვეყნება არის სავალდებულო და დოქტორანტი ფაკულტეტის მოთხოვნას აკმაყოფილებს.

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა დასვა კითხვა, აკმაყოფილებდა თუ არა დოქტორანტი ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნას?

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტიდან საბჭოს წევრებს შეახსენა ქართველოლოგიის და კავკასიოლოგიის დარგში შესრულებული ნაშრომების ინტერნაციონალიზაციისათვის განსაზღვრული პირობები.

აზრი გამოთქვა: თ. შარაბიძემ დამატებით აღნიშნა, რომ ერთი ნაშრომი გამოქვეყნებულია უცხო ენაზე ინტერნეტ-გამოცემაში და შესაბამისად, დისერტაციის დაცვისათვის წაყენებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე გამართული მსჯელობისა და ღია ხმის მიცემის საფუძველზე (12 ხმა), დამტკიცდა სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) და მიიღეს გადაწყვეტილება **მაია ცერცვაძისათვის** ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამის „რუსეთისმცოდნეობა" დოქტორანტ **მამუკა მჭედლიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

მოისმინეს: სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დიმიტრი შველიძემ აღნიშნა, რომ სხდომას საპატიო მიზეზის გამო ვერ ესწრება კომისიის მდივანი ნინო ჩიქოვანი.

დაადგინეს: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „რუსეთისმცოდნეობის" დოქტორანტ **მამუკა მჭედლიძის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის დასკვნა (შეფასება) განსახილველად გადაიდოს მომდევნო სხდომისათვის.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „მასობრივი კომუნიკაციის" დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **თინათინი მაჭარაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის შემადგენლობა და დაცვის თარიღი.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის კორესპონდენცია, რომელშიც დასაბუთებული იყო კომისიის შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „მასობრივი კომუნიკაციის" დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **თინათინი მაჭარაშვილს** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია დამტკიცდეს წარმოდგენილი შემადგენლობით:

ა) ნინო ჭალაგანიძე - ჟურნალისტიკის დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

ბ) ნათია კუპრაშვილი - ჟურნალისტიკის დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

გ) თამაზ ჯოლოგუა - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

დ) მარი წერეთელი- ჟურნალისტიკის დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

ე) მანანა კვაჭანტირაძე - ფილოლოგიის დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელი - მანანა კვაჭანტირაძე;

ვ) ადა ნემსაძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი;

ზ) ნინო მინდიაშვილი- ფილოლოგიის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ეკონომიკის" დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **გიორგი ბრეგაძის** სადისერტაციო ნაშრომის („ტურიზმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პრიორიტეტები") შემფასებლები.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ეკონომიკის" დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **გიორგი ბრეგაძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებად განისაზღვროს:

იოსებ ხელაშვილი - თსუ პროფესორი,

კოტე აბულაძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **შორენა ტიელიძის** სადისერტაციო ნაშრომის („ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის სრულყოფა-ბიზნეს-კომპანიების ეფექტიანობის ფაქტორი", მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი ეკა ჩოხელი) შემფასებლები.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **შორენა ტიელიძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებად განისაზღვროს:

ნათელა ლაცაბიძე - თსუ ასოცირებული პროფესორი,

ნინო ლაზვიაშვილი -საქართველოს ტექნიკური უნივერესიტეტი, ასოც. პროფესორი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **რევაზ გერაძის** სადისერტაციო ნაშრომის („ფინანსური ლიბერალიზაციის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე", მეცნიერ-ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე) შემფასებლები.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **რევაზ გერაძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებად განისაზღვროს:

დავით ნარმანია - თსუ პროფესორი;

ლევან ქისტაური - საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, პროფესორი.

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **მაია გიორბელიძის** სადისერტაციო ნაშრომის (სადისერტაციო ნაშრომი: ,,ინკლუზიური ბიზნესის სოციალური ზემოქმედების შეფასება საქართველოში“, მეცნიერ-ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი დავით სიხარულიძე, ასოცირებული პროფესორი ვასილ კიკუტაძე) შემფასებლები.

აზრი გამოთქვა: ხმის მიცემის დროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ ქეთევან ხუციშვილმა საბჭოს წევრებს ჰკითხა თუ ვინ იყო მომხრე, ვინ - წინააღმდეგი და თავი ხომ არავის შეუკავებია. კენჭისყრის ჩატარების შემდეგ ქეთევან ხუციშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **მაია გიორბელიძის** სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებად განისაზღვროს:

შოთა შაბურიშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი ;

ეკა ლეკაშვილი - თსუ ასოცირებული პროფესორი .

მოისმინეს: ქ. ხუციშვილმა საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურის პროგრამა „სამართლის“ დოქტორანტ **ნინო ხარიტონაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის („მესამე პირები სამოქალაქო პროცესში“, სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი ზურაბ ძლიერიშვილი) დაცვის კომისიის შემადგენლობა.

აზრი გამოთქვა: მ. შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილ კომისიაში სხვა უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი ამავდროულად თსუ-ს აკადემიური პერსონალიცაა, შესაბამისად, საკითხი განხილვას არ ექვემდებარება.

დაადგინეს: იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის“ დოქტორანტურის პროგრამის დოქტორანტ **ნინო ხარიტონაშვილის** სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისია არ დამტკიცდეს წარმოდგენილი შემადგენლობით:

ა) თევდორე ნინიძე - პროფესორი (თსუ);

ბ) ირაკლი ბურდული - პროფესორი (თსუ);

გ) თამარ ზამბახიძე - ასოცირებული პროფესორი (თსუ);

დ) მარიამ ცისკაძე - ასოცირებული პროფესორი (თსუ);

ე)სერგი ჯორბენაძე - ასოცირებული პროფესორი (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი);

ვ) გიორგი ცერცვაძე - ასოცირებული პროფესორი (თსუ);

ზ) გიორგი სვანაძე - ასოცირებული პროფესორი (თავისუფალი უნივერესიტეტი).

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე,
ქეთევან ხუციშვილი

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
მორის შალიკაშვილი